სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

925113816572 26

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N260773534**

რეგისტრაციის თარიღი

**12.06.2026 წ**

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი იოანე პეტრიწის ქუჩა №16
ტელეფონი: ოფისის № 322 43 28 70;

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაექვსი წლის თორმეტ ივნისს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ი.პეტრიწის ქ. #16, მომმართა იოსებ ლომიძემ (დაბ. 23.01.1984 წელს, პირადი # 57001011821, მისამართი: ხაშური დ. სურამი გვერდისუბანი დას.) მან განაცხადა, რომ არის შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის (რეგისტრირებული: 09/10/2018 წელს, ს/ნ 405294319) დირექტორი შემდგომში წოდებული როგორც "მიმდომი პირი"__ და სურს მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება,რომლითაც შესაბამის უფლებებს მიანიჭებს__ ლია მახალდიანს (დაბ. 03.07.1969 წელს, პირადი # 01006012280) შემდგომში წოდებული როგორც "მინდობილი პირი"._მე შევამოწმე "მიმნდობი პირი"-ს პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ასევე ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მისი ნების შესაბამისად შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წაუკითხე და განვუმარტე მას. მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

მინდობილობა

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის, როგორც შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის (რეგისტრირებული: 09/10/2018 წელს, ს/ნ 405294319) დირექტორის წარმომადგენელი შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის (რეგისტრირებული: 09/10/2018 წელს, ს/ნ 405294319) კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ ორგანოებში, იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქალაქის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, **ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში/ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში.** იგი უფლებამოსილია შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ ცნობები/ მოწმობები, ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს მიმნდობი პირის ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, **ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, განახორციელოს ნებისმიერი ცვლილება შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის (რეგისტრირებული: 09/10/2018 წელს, ს/ნ 405294319) კუთვნილ უძრავ ნივთზე, მათ შორის მოახდინოს: უძრავი ქონების კორექტირება, უძრავი ქონების ფართობის დაზუსტება, საზღვრების კორექტირება, გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, გამიჯნული ნაწილის მიერთება მიმდებარედ არსებულ სხვა ნაკვეთთან (სხვა უძრავ ნივთთან), რეგისტრაციის შეწყვეტა, რეგისტრაცია.**

ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება (მათ შორის ელექტრონულად), მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი ან/და მისი დუბლიკატი, მოაწეროს ხელი ყველა შესაბამის დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება.

მინდობილობა გაცემულია **ორი** წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება, ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

- **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.**

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

ნოტარიუსი: /თამარ ბაქრაძე/